საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1907-01-2-201806201352

N 01/1907
20/06/2018

Factcheck.ge-ს რეგიონულ ანალიტიკოსს,
ქალბატონ თამარ მოდებაძეს
tamaramodebadze@gmail.com

ქალბატონო თამარ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2018 წლის 11 ივნისის №3412/01 წერილი, რომლის პასუხად გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.

ამასთან გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მხარდაჭერით, კახეთის რეგიონში, შესაბამის მუნიციპალიტეტებს, სახელმწიფო დაფინანსებით, გადაეცათ 1 900 (ერთი ათას ცხრაასი) ერთეული ევროსტანდარტების შესაბამისი ნაგვის ურნა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 006 568 (ერთი მილიონ ექვსი ათას ხუთას სამოცდარვა) ლარი, კერძოდ:

მუნიციპალიტეტი	**ერთეული**
ახმეტის მუნიციპალიტეტი	300
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	200
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	200
თელავის მუნიციპალიტეტი	250
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	250
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	250
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	250
ყვარლის მუნიციპალიტეტი	200

აღსანიშნავია, რომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის“ პროექტის ფარგლებში, 2017 წელს, მუნიციპალიტეტებისათვის შეიძინა მეტალის ნაგვის კონტეინერები, საერთო ღირებულებით 1 831 086 (ერთი მილიონ რვაას ოცდათერთმეტი ათას ოთხმოცდაექვსი) ევრო; ხოლო 2018 წელს - პლასტმასის ნაგვის კონტეინერები, საერთო ღირებულებით 295 228.92 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ორას ოცდარვა ევრო და ოთხმოცდათორმეტი ცენტი) ევრო.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემული ურნების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში.

რაც შეეხება თქვენი წერილის მეორე და მეოთხე პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას, აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დაცული არ არის, შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ იგი.

დანართი: 1 (ერთი) excel-ის დოკუმენტი.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური